გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 2 ივლისი

არჩევანი ინგლისში თითქმის თავდება. დეპეშებმა ამ უკანასკნელს დროს ვერაფერი ამბები მოგვიტანეს გლადსტონისათვის საკეთილო. სულ 669 კაცი უნდა ამორჩეულიყო, რადგანაც ინგლისის პარლამენტი 669 დეპუტატისაგან არის შემდგარი. ამათში 356 კაცი გლადსტონის არა-მომხრენი არიან და მხოლოდ 255 კაცი მომხრეა. ამ სახით ამოსარჩევია კიდევ 58 კაცი და სულ ესენი რომ გლადსტონის მომხრეთაგანი აღმოჩნდნენ, მაინც კიდევ გლადსტონის მომხრენი ნაკლებნი იქმნებიან. ეს არამც თუ მარტო ინგლისისათვის არის სამწუხარო, არამედ მთელის კაცობრიობისათვის. სჩანს ინგლისის ერი ჯერ კიდევ იმოდენა სიმაღლეზედ ვერა სდგას, რომ თავის დიდ-ბუნებიანს და ახოვანს შვილს გლადსტონს ასწვდეს.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ამისი თქმა გულ-დაჯერებით არ შეიძლება, რადგანაც არ ვინ იცის წინად—თვითონ პარლამენტში ეს დასები რა გვარად იმოქმედებენ? კიდევ შესაძლოა, რომ გლადსტონის პროექტმა ირლანდიის პარლამენტის თაობაზედ თავი დაიჭიროს და თავისი გაიტანოს. ხოლო თვითონ არჩევანმა რომ ესე ჩაუარა გლადსტონს, ეს ამბავი გულს უწყლავს ყველას, ვისაც კი სიმართლე და კაცთ-მოყვარება ხელში მჩვრად არა აქვს გამხდარი. ადრევაც გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ იმ სამართლიანს საქმეს, რომელსაც ასეთის მხნეობით ხელი მოჰკიდა საოცარმა მოხუცმა გლადსტონმა, მაგ მეცხრამეტის საუკუნის უკეთესმა შვილმა, ბოლო იმით არ მოეღება, რომ დღევანდელმა პარლამენტმა ინგლისისამ უარ-ჰყოს. მერმისი ამ საქმეს ეკუთვნის, როგორც ყოველს იმას, რაც სამართლიანობიდამ წარმომდგარია; დღესა თუ ხვალე, დღეს უარ-ყოფილი, ისევ წამოდგება ფეხზედ უფრო დიდის ბრწყინვალებითა და სინათლითა და კაცობრიობის ცხოვრების უკვე დარღვეულს და გაფუყებულს ძირსა ახალ საძირკვლად გადექცევა ჩაგრულთა და უბედურთა საოხად. ამაში ეჭვი არა აქვს არავის, ვინც იცის რა დიდ-გძელია და შემძლებელი ერთხელ წამოთქმული მართალი, ერთხელ ფეხ-ადგმული ჭეშმარიტება.

რამ დაამარცხა ამ შემთხვევაში გლადსტონი? ნუ თუ მართალი მის მოწინააღმდეგეთა მხარეს იყო? არა. იგი დაამარცხა მანვე, რამაც მაცხოვარი კაცობრიობისა იესო ქრისტე მიიყვანა გოლგოთაზედ ჯვართ-საცმელად; იგი დაამარცხა მანვე, რამაც სახელოვანს სოკრატს მიაწოდა საწამლავი თავის მოსაკვლელად; იგი დაამარცხა მანვე, რამაც დაუნთო სახმილი გალილეის დასაწვავად. იგი დაამარცხა ჭკუის სიბნელემ, უმეცრებამ, ანგაარებამ, თავ-მოყვარეობამ, ცუდმედიდობამ, ყოველმა ამ გვარმა ნაძირალმა ავ-ზნეობამ ადამიანისამ. დამარცხდა დღეს გლადსტონი და არა დამარცხდა მისი ბრწყინვალე, გენიოსის შარავანდით გარს მოსხმული დიდებული საქმე. მან თვისი სახელოვანი სიცოხლე იმას შეალია, რომ სიკეთე და მადლი, რაც ადამიანს ღვთის მიერ აქვს მონიჭებული მისდა საბედნიეროდ, რაც შეიძლება ყველას მოეფინოს, რომ ყველამ იხეიროს და ინუგეშოს ამ წუთის-სოფელში. ნუ თუ ამ დედა-აზრზედ აგებული საქმე, ამ დედა-აზრის ხორც-შემსხმელი მოღვაწეობა, დღეს დამარცხებული, ხვალ გამარჯვებული არ უნდა იქმნეს? მაშ ადამიანი როგორ-და გაბედავს დაიქადოს, რომ მე ღვთის ხატებისა, ღვთის მსგავსებისა ვარო, თუ ადრე თუ გვიან ჭეშმარიტებას არ მიიკარებს!

რაკი საქმემ არჩევანისამ არ გაუმართლა იმედი გლადსტონსა, ადვილად საფიქრებელია, რომ არჩევანის გათავების უმალვე ახალს პარლამენტს მოიწვევს შესაკრებად, თუმცა კი, სხვა ფრივ რომ გათავებულიყო არჩევანი, გლადსტონს უნდოდა ღვინობის თთვეზედ ადრე არ შეეკრიბა პარლამენტი. თუ ახალი პარლამენტი უარს-ჰყოფს პროექტსა, გლადსტონი უსათუოდ გადადგება სამინისტროდამ და სხვას დაუთმობს ბურთსა და მოედანსა. ვინ იქნება ეს სხვა? ორში ერთი: ან გამდგართა ლიბერალთა მოთავე გარტინგტონი, ან კონსერვატორების წინამძღვარი სალუსბერი. ამბობენ, ვითომც შესაძლოაო შერევნილი სამინისტროც გაიმართოს სალუსბერ-გარტინგტონისაო. ეს ჩვენ არა გვჯერა. გარტინგტონი თუმცა ირლანდიის საქმის გამო გლადსტონს გადუდგა, ხოლო თავის დღეში სალუსბერისთან ერთად საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ამათთა დედა-აზრთა შორის მეტად დიდ მანძილზეა ხიდი ჩატეხილი ასე, რომ ესენი თავიანთ აზრებს ერთმანეთს თავის დღეში ვერ მიუყენებენ.

მაშასადამე საფიქრებელი უფრო ის არის, რომ ან ერთი მათგანი შეადგენს სამინისტროს, ანუ მეორე. უფრო დასაჯერია, რომ ეს ბედი სალუსბერის შეხვდება. ეს უფრო გამბედავი კაცია და განსაზღვრული პოლიტიკა აქვს ირლანდიის შესახებ, გარტინგტონი კი იქნება შეუშინდეს გამწვავებულს მდგომარეობას ირლანდიისას და ვერ გაბედოს იგისროს მისი გაძღოლა. სალუსბერის მთავარ-მინისტრად გახდომა და საგარეო საქმეებში მხნედ და მოურიდებლად ხელის გამოწვდენა ერთი იქნება. მერე ხნულიც მზად დახვდება: ბალკანის ნახევარ კუნძული, საიდამაც ბევრი უნუგეშო ამბები ისმის, მეტად ხელს შეუწყობს მოუსვენარს პოლიტიკას სალუსბერისას. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში რაღაც მოძრაობაა თურმე, მაკედონიაშიაც დიდი ფაცი-ფუცია და რიღასათვისაც მზადება, საბერძნეთმაც, ცოტა ხნობით ძალად ჩაჩუმებულმა, კვლავ ხმა ამოიღო და იძახის: ჩვენის ქვეყნის გარედ ბევრი რამ იმისთანა საქმე იჩენს თავსაო, რომ მომზადება გვმართებსო; ბოლგარიის მთავრისაგან მოელიან, რომ დღეს არა ხვალე ისეთს რასმეს გამოატყვრენსო, რომ იქნება სულ არივ-დარიოს ქვეყანაო; ოსმალოც გულ-ხელ დაკრეფილი არ არის, ამაების მაყურებელი, იგიც ვერა ჰბედავს ჯარების დათხოვნას და ზოგნი ირწმუნებიან კიდეც, რომ უმატებს და არ-კი აკლებს ჯარებსაო; ავსტრიაც რაღაც ხელში მუგუზალს ათამაშებს თავის წინაშე: იგი აქეზებს ალბანელებს ჩერნოგორიის წინააღმდეგ, აქაო და ჩერნოგორია ხელს უწყობს ყარაგიორგის ძესაო, რომელსაც მადა გაჰღვიძებია სერბიის საკოროლო ტახტის დასაჭერად, და სერბია ხომ დიდი ხანია ავსტრიასა ჰყავს აყვანილი თავის მფარველობის ქვეშ,—ერთის სიტყვით, სალუსბერის მტერ-მოყვაროვანს გულს ხალვათი მოედანი დახვდება სამოქმედოდ, ოღონდ კი ხალისი იყოს. სალიუსბერის რომ ამისთანაებში ხალისი არ აკლია, ეს ყოველ ეჭვ გარეშეა ყველასთვის, ვინც კი მას იცნობს.

ახალი ამბავი

⁂ ამ წლის პირველ ნახევარს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მიერ საჯარო გასასყიდად ჩაერდა სულ 24 მამული, რომელთზედაც ითვლებოდა თავნი ვალი 159,490 მან. და 98 კაპ.

ფელეტონი

აფხუშოობა

(ფშავლების ცხოვრებიდამ)

(დასასრული*)

დაბინდდა. თოფის სროლა სრულიად მისწყდა. ცეცხლები უფრო გაჩაღდა. ცეცხლის გარშემო სადღეობოდ მორთული ბალღები ისხდნენ და ხუხავდნენ ღეძლ-თირკმელებს. საიდაც იყო და არ იყო გაჩნდა დასტური და დაიძახა: „აჰათ ბალღებო“, და გადმოყარა კვერები. ფშავლის ბაღანებმა, როგორც ჩიტებმა პურის მარცვალი, საჩქაროდ აკრიბეს კვერები. ქალები ლხინობდენ; იმათში, როგორც წეროებში არწივი, ჩაერეოდა ხოლმე კარახელი,—ეშმაკობით და მასხარობით განთქმული. კარახელი ძველი კაცია, ჩაცმა-დახურვას ბევრს არაფერს მისდევს; კარახელი საჯეაროზოდ არ იყო მორთული, იმას ეცვა გადმობრუნებული ტყავი, თავზედ გაკრეჭილი შავი ბატკნის ქუდი ეხურა, როდესაც ქალ-ვაჟი დაიწყებდენ თამაშობას, კარახელი იმათ შუაში ჩაერეოდა და მამლურად დაურბენდა ქალსა; კარახელმა მოიჯერა თამაშობით გული. ახლა სხვა გასართობი იპოვნა: გადუხტა დედა-კაცების გროვას და დაუწყო თრევა ხან ერთს და ხან მეორეს:

— ადექით, დაიკარგენით აქით, თქვე მანდილ-ახდილებო ეუბნებოდა კარახელი:—წაგვიბილწეთ ხატ-ხატის კარი, დაეთრიეთ შებოსლეები.

დედა-კაცებმა ჟივილ-ხივილი ასტეხეს.

— სუ, ჩემო კარახელო, ეუბნებოდა კარახელს ერთი დროული ქალი, ოღომც ეხლა-კი დაგვასვენენ, ძმო, და მემრე თუნდ სუ აღარ გაეიელით აქა?

— რა მიყო მა გმირის კოპალაის ლახტ-ნაკრავმა, დაგმეხოს მწარემ სიკვდილმა აგრიადა, ჰო; კინალ ერთი უნამუსობა არ მაჭმია თქვენი ჭირიმეთ, ამბობდა მეორე ხნიერი ქალი,—ხოშია და თან ფაფანაკის ჩამოგლეჯულ კალთას ისწორებდა. კარახელმა დაისვენა და გასწია ლილინით შეზარხოშებულ ფშავლების გროვასკენ, დაადვა მხარზედ ხელი ორს ბიჭს, შეხტა და დაიძახა:

— მეც დამსვით ე!

— მოგეიხვედ მშვიდობით, კარახელო.

— თქვენც დამხვდით მშვიდობითა.

— მტერიმც დაგხვდება, ბიძავ, ხელ-ცარიელი, უთხრა მეცხვარე პეტრემ და მიაწოდა ერთი თასი არაყი კარახელს. მწყემსებს „ცხვარშიით“, «მინდვრით» მოსულებს ხალხი ალერსიანად ეპყრობა. პეტრე ახალუხა, გაჟივჟივებული, წითელ გულის-პირიან საკინძ ჩამოწყვეტილი, იჯდა ერთს ლოდზე და მჭევრ-მეტყველობდა; მწყემსს გულზედ და პირზედ ოფლი გადასდიოდა, კალთაში არაყით ტიკჭორა ედო; ის გატაცებით უამბობდა ხალხს თავის ნახულს და გაგონილს, როგორც ახალი დაბრუნებული მინდვრიდამ. პეტრე მჭმუნვარედ ლაპარაკობდა ჯერ იმაზე, თუ როგორ დაალარიბა ფარის პატრონები ხარჯმა.

— «თქვენი დრო კარგი იყო», ეუბნებოდა ძველს კაცებს,—ეხლა უფრო გაჭირდა ცხოვრებაო. შემდეგ მოჰყვა ყაჩაღის თალრიევერდის ამბავს, როგორ მოკლა იმან ერთი ვილაც ხელის-უფალი. «ლამაზი ცხენი ჰყოლიყო თათარს ძმობის მადმა; ერთი კი დაჰკივლა თათრულად და როგორც მასკვლევი ისე გათხოვდა; ხელის-უფალიც დაედევნა, მითამ დაგიჭერო. გაქცეულს ცხენს-ზეით მოტრიალდა თათარი, მაიბრუნა თოფი,—ჩემს ძმას გიამბო,—გამაიძაბნეს ბოლნი და ხელის-უფლის ღეძლ-ფილტვის ნაგლეჯები აიქ სამ გამააბნია ტყვიამა; შამოლანძღა და დაგვეკარგა თვალთ წინაით».

— ეგ ყველა, ყველა, ჰკითხა ბერომ პეტრეს, და ი ბერი-კაცს შარმაზანს რაღლა აწვალებ, ბიჭო, რამდენი პერანგი აქვ თქვენზე მეტი გაცვეთილი?!

— იუდის კერძია, ბიძავ, იასო ქრისტეს მადმა,—სთქვა პეტრემ სიცილით.—ასის წლის კაცია, რა ავლევს ცხვარში და შინ არა ზის?! მაგ სულელს გუდაში შაქარი სდებიყო, ვინ იცის უეშმაკებდა ვინმეა, თუ ამაუვარდებოდა,—მე დამაბრალა შენი ძალლობა იქნებაო.

— შაქარი რაღლა უნდა? ჰკითხეს ფშაველებმა.

— რაადაც სულელია იმითა, სხვად რადა. აბა არ ეკადრება კი ჩემგნითა უფროსია, მაგრამ ნავსია ჩემის სალოცავის მადმა,—ბოროტი, ამოსაგდები. თქვენ შაქარი გაგკვირვებიათ, ახლა ჩაის მასალის ყიდვასაც აპირობს და სასვეეთ თავი მითხარ შენა, იქ უნდა ხვრიტოს ჩაი.. თელავზე რო გამოვიაროთ, სუყველაზე უწინ შაქარს იყიდის. ახლა გაიგო, შენი ჭირიმე, რო ჩემი აღსასრულის დღე მოიდა, პირის-გემოს მიედიო— ეს მაინც შამრჩებაო.

— დასწყევლოს ღმერთმა,—სთქვა ბერომ სიცილით, ყველამ სიცილი დაიწყეს.

— მემრე ი შაქარზე გაგიკდათა?—ჰკითხა ბერომ.

— შაქარზე მაშ რაზე. მე ვუთხარ, ღვთისა წინაშე კაცმა მართლა უნდა თქოს, ა შვილი-შვილებისად—ობლებისათვი გეყიდა რაიო რო გაგელაღო. რა გეშაქრებოდა, წყემსი და იმის ჩაის სმა რომელს რჯულებაში

---

*) იხილე „ივერია“ № 141.

აქედამ 12 მამული ქალაქისა იყო ვალით 92,711 მან. და 7 კაპ. და 12 სოფლისა ვალით 66,779 მან. და 91 კაპ.

ამათგან 16-ს ივნისს გაიყიდა 3 ქალაქის მამული ვალით 13,693 მან. 22 კაპ., 4 სოფლისა ვალით 11,292 მან. და 69 კაპ. დანარჩენი 9 მამული ქალაქისა ვალით 79,047 მან. და 85 კ. და 8 მამული სოფლისა ვალით 52,599 მან. და 22 კაპ. გადიდვა საჯარო გასასყიდადვე 30 ივნისისათვის.

ვიდრე ეს უკანასკნელი დღე დადგებოდა ამ მამულების პატრონებმა ბანკში შემოსატანი ფული წარმოადგინეს და განათავისუფლეს მამულები გასყიდვისაგან. ამ გვარად განთავისუფლდნენ გასყიდვისაგან 3 მამული ქალაქისა ვალით 11,460 მან. და 60 კაპ. და 4 სოფლისა ვალით 42,942 მან. და 5 კაპ. და დარჩა გასასყიდად 30-ს ივნისისათვის 6 ქალაქის მამული ვალით 67,557 მან. და 25 კაპ. და 4 სოფლისა 12,545 მან. 17 კაპ.

30-ს ივნისს ამათგან გაიყიდა 2 ქალაქის მამული ვალით 13,680 მან. და 4 კაპ. და 3 სოფლისა ვალით 8,716 მან. 5 კაპ. და დარჩა ბანკს ხელ-ახლად გასასყიდად 4 ქალაქის მამული ვალით 53,877 მან. და 21 კაპ. და ერთი სოფლის მამული ვალით 3,829 მან. და 12 კაპ. ამ სახით ხელ-ახლად გასასყიდად დარჩა სულ ხუთი მამული რომელზედაც თავენი ვალია 57,706 მან. და 33 კაპ.

⁂ ტფილისის ქუჩებზე სხვათა შორის შეხვდებით ერთ-გვარს გლახებს, რომელნიც თუ ფული არ მიეცით, ლანძღვა-გინებას დაგიწყებენ. ამ ვაჟ-ბატონების ქცევა ბევრჯელ წრეს გადადის ხოლმე; მაგალითებრ, ყოფილა ამ გვარი შემთხვევაც, რომ ბულვარზე მანდილოსანი დაეყენებინოთ, ფული ეთხოვნოთ და, თუ ფული არ ეჩუქებინათ, შეეგინებინოს. ამ ვაჟ-ბატონთ კარგად იცნობს პოლიცია, მაგრამ მათის დატუსაღებით თავ-მობეზრებულია და დასასრულ სულ ყურადღებას აღარ აქცევენ. მაგალითებრ, გაზ. „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, გლახებთა შორის ყურადღებას იქცევდა ერთი ვილაც ბერძენოვი, რომელმაც საკმაოდ მოაბეზრა თავი ტფილისის საზოგადოებას თხოვნით, ეს ბერძენოვი ტფილისის გუბერნატორის შუამდგომლობით და მთავარ-მმართებლის განკარგულებით გორში გაჰგზავნეს.

⁂ ერთს ტფილისელს ექიმს, ბ-ნ ლუნკევიჩს ქართულსა და სომხურს ენაზედ სქემა შეუდგენია თვალისმხედველობის გამოსაცდელად. ეს სქემა ისეა შედგენილი, როგორც ფრანგებსა და ნემეცებსა აქვთ. ასოები დახაზულ უჯრებშია ჩასხმული. ურიგო არ იქმნებოდა, რომ იმათთვის, ვინც წერა-კითხვა არ იცის, უჯრებში ასოების მაგიერ სხვა-და-სხვა საგნები იყოს გამოხატული.

⁂ ქართული არტისტები ამ ჟამად ქუთაისში არიან. წარმოდგენები რიგზედ მიდის და ხალხიც ბევრი დაიარება თურმე თეატრში. ქუთაისიდგან ფოთში აპირებენ წასვლას, და ქალაქში სექტემბრის თვეეში ჩამოვლენ.

⁂ 30 ივნისს, გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ქარს ერთი ტივი მოუგლეჯია ვერის ხიდთან და მტკვარს წაუღია, ტივი გზაზედ ბორანს დასჯახებია, მოუგლეჯია ჯაჭვისაგან და სულ დაუმტვრევია. კიდევ კარგი, რომ ამ დროს ბორანზე არავინა ყოფილა, თორემ ერთი უბედურება მოხდებოდა. რის წვალებით დაიჭირეს მცურავებმა ტივი და დააბესო.

⁂ გარე-კახეთში წვიმებს ყანები ისე გაუფუჭებია, რომ დღიურს ორი-სამი ურემი ძნა ძლივს-ღა ასდისო, გამოსავალიც ცუდი აქვსო.

⁂ მნაცაკანოვების ხიდის ახლო, ბებუთოვის აბანოდან დაწყობილი თითქმის მთელი მტკვრის ნაპირი სანაგვედ არის გადაქცეული, აქა-იქ გორა-გორად აგროვია ნაგავი. ამას გარდა, არ ვიცით რა ნებით, იქვე ატყავებენ მკვდარს ცხენებს, მძორს მტკვარში აგდებენ და ტყავი-კი გასაყიდად მიაქვთ. საკვირველია, ვინ აძლევს ნებას მცხოვრებლებს, რომ წყლის ნაპირზე ჰყრიდნენ ნაგავსა. ამისთვის ცალკედ დანიშნული ადგილია—მახათის იქით—რატომ იქ არ მიაქვთ ნაგავი და იქ არ აყრევინებენ?

⁂ დილიჟნიდამ მოუწერიათ 18 ივნისს საღამოს ექვსს საათზედ, ერევნის გზა-ტკეცილზე ავაზაკებმა გაცარცვეს ორმოცამდე კაცი. ამათში ორი მოჰკლეს და ერთი დასჭრესო. გაცარცულთა შორის ერთი ერევნის ოლქის სასამართლოს გამომძიებელია და ერთიც კიდევ სომხების ეპისკოპოსი.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ხაშმი. წელიწადი არ გაივლის, რომ ღმერთმა ერთი რამ უბედურება არ მოგვივლინოს; წლევანდელმა წელიწადმა ხომ გადააჭარბა ყველას. «ივერიამ» მეთაურ წერილში უკვე მიაქცია ყურადღება მისგან ესრედ-წოდებულ „ხაშმის ჭიის“ მოსპობასა და დღიურში გადმობეჭდა შინაარსი ჩვენის მამასახლისისაგან ბ. მაზრის უფროსთან მირთმეულის რაპორტისა. გაზეთი ამასთანავე ასწორებდა შეცდომას ჭიის გავრცელებაზედ, და მართლაც არა სტყუოდა: პირველად, გაჩენის შემდეგ, ჭიამ ათასობით კი არა, მილიონობით იმატა. სიპტყე ჭიისა შეცდომით იყო ნაჩვენები რაპორტში: ერთი გოჯი კი არა, ნახევარ გოჯი აქვს ირგვლივ.

ეგრედ-წოდებული „ხაშმის ჭია“, რომელსაც რუსებმა „გუსენიცი“ (гусеницы) დაუძახეს, პირველად გაჩნდა წარსულ წელს, პირველ გაზაფხულს, ივრის მარჯვენა ნაპირს, თ. ჩოლაყაშვილის მამულში. იქიდგან იმავე წელს, ზაფხულში, ივრის მარცხენა მხარესაც გავრცელდა, თუმცა პირველს წელს თვალ-საჩინო ზიანი არ მოუტანია. შემოდგომაზედ მატლმა შემოახვია აბრეშუმის მსგავსი ქსელი ხეების ტოტებს და ქსელს შიგნით დასტოვა კვერცხები. ბუდე—პარკი ისეთი მაგარია, რომ ღონიერი ხელი ძლივს გაჭხევს. ვენახებში ხეებს, ღობეებს და ბუჩქებზედ გაკეთებულ პარკებს გარდა შემოდგომით მოშრილს ფიჩხს და ჯაგჯს შემოჰყვა სოფელში მრავალი პარკები. წელს გაზაფხულის სითბოზედ თითო ბუდიდგან გამოიჩიკა ათი-ათასობით წვრილი მატლი. მატლი მანამ გოჯის მოთხედის სიგძე გაიზდებოდა, ბუდიდგან შორს არ მიდიოდა და აქვე ახლოს კოკრებით იკვებებოდა. როცა ცოტა მოიზარდა, გაიფანტა ყოველ მხარეს. ერთის ხის ტოტიდგან მეორეზედ, ან ხიდგან მიწს, მძიმედ ეშვება ქსელზედ, რომელიც მიბმული აქვს ხის ტოტზედ და იგიბება მატლის გვამიდან.

მანამ ხის ფოთოლი და ბალახი გაიზდებოდა, ვაზის კვირტებსა სჭამდა, შემდეგ კი ხის ფოთოლს და ბალახსაც მაესია. იშვიათად შეჰხვდებით ვენახში ხეხილს, რომ ფოთოლი ჰქონდეს, და თუ რომელსამე აქამდინ შერჩენია, ვგონებ, ამ ერთის თვის შემდეგ აღარ ექნება. ჯერ-ჯერობით ბევრი ხეხილი გახმა. ის მშვენიერი და იშვიათი, ეგრედწოდებული, ღიმონის მსხალი, რომელსაც თბილისელი ბაყლები ადგილობრივ ფუთს სამ მანეთად ყიდულობდნენ, სანატრელი გახდა. ჩვენ უფრო აი რა გვაწუხებს. ხეებზედ ფოთოლს მორჩებიან, ზაფხულის სიცხე ბალახს გაახმობს და მატლებს საჭმელად-ღა დარჩებათ ერთადერთი ჩვენი ნუგეში—ვაზი.

ამ უბედურებას ის ემატება კიდევ, რომ მატლი შხამიანია; იშვიათად შეჰხვდებით ვენახში ან ტყეში ნამყოფს კაცს, რომ სხეულის ტიტველა ნაწილი, მომეტებულად კისერი, დასიებული არა ჰქონდეს. ერთ გლეხს მატლების ხოცვის დროს ბევრი მატლი დასცვენოდა კისერზედ და ეხლა კისერი დაუსივდა, დაუმუწუდა; დაშხამული ეწვის ჭინჭრის დასუსხულსავით.

რადგან პირველ მოხსენებაზედ არავითარი განკარგულება არ გამოვიდა, მამასახლისმა მაზრის უფროსს მეორედ მოახსენა, აცნობებდა, რომ ჭია გამრავლდა, დიდი ზიანი მოაქვსო, სთხოვდა ჭიის დასახოცად რაიმე საშუალება ეჩვენებინათ, ძალა დაეტანებინათ მცხოვრებლებისათვის, რომ ჭიები ჰხოცონ, რადგან უმრავლესობას ცოდვად მიაჩნიათ ღვთისაგან მოვლენილ სასჯელის ძალით თავიდან აცილება. რადგან ამ საქმეს მცირე დრო და ღონე არ მოუნდება, ამიტომ მამასახლისი სთხოვდა განეთავისუფლებინათ ხაშმელები კოდის გზის ბეგარისაგან. ამ მოხსენებაზე შემდეგი პასუხი მიიღეს: „კოდის გზის ბეგარისაგან განთავისუფლებაზედ უარი ეთქვას, ჭიები თამბაქოს წვენით შეუძლიანთ დაჰხოცონ.“

ეხლა ჭიის მოსპობის იმედი სრულიად დაკარგულია, რადგან ჭია ყველგან არის გაფანტული, მიწს ბალახებში და მაღლა ხეებზედ,—პირველს ერთ თვეს კი ჯგუფ-ჯგუფად ეხვია ხეების ტოტებს,—ჭია მარტო ჩვენ ვენახებში არ არის,—სოფლის გარშემო ტყეებიც სავსეა. ტყეებში მუხის ხეს სრულებით აღარა აქვს ფოთოლი.

იორი ბევრს უბედურებას აყენებს ხალხს ყოველ წლივ, მაგრამ საშველი არსაიდამ არის. მართებლობამ იორზედ გააკეთა ორი ხიდი: ერთი გომბორის დასწვრივ უდაბურ ტყეში და მეორე ს. ყანდაურის ბოლოს. ორივე ხიდი გამოუსადეგარია გარეთ კახელებისათვის, რომელნიც ოთხი ათას, (4,000) კომლამდე ითვლებიან. სოფლები შეჯგუფებულია ცივგომბორის მთის დასავლეთის მხარეს ოც-და-ათის ვერსის სივრცეზედ. შუა სოფლიდან ორივე ხიდამდინ იქნება ორმოცი ვერსი და ამოდენა გზის მოვლას, ხშირად ჩვენი ხალხი პირ-და-პირ იორში ალალ-ბედობაზე გასვლასა რჩეობს, რის გამოც ბევრი უბედურება სდება ხოლმე. მე მგონია, ეს გარემოება ყურადღების ღირსია და რაიმე საშუალების მიღებაა საჭირო. კარგი იქნება, რომ ის ნებართვა, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინედ მოჰყვა აჭაურების თხოვნას: „გაიმართოს ხელის-მოწერა იორზედ ხიდის გასაკეთებლად“,—ახლა მაინც განხორციელდეს და შემდეგში უბედურებისაგან დაგვიხსნან.

ლაფიან ხეველი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის დღევანდელი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთობ ნათლად და ცხადად არის აღწე-

---

სწერიაო. ამაზე შევყევით. გავაჯავრე; ამაიწვადა ი ხანჯარა, მძლივ ამააძვრა, ჩაჰქანგებიყო, გამამეტია ყმა; მე აბა რას ხელს შაუქცევდი,—გამოვექე. რო ვერ მამეწია, შორით დამიწყო გინება, დაუწყო პეტრემ ჯავრება: «ვაჰმე შენი ჯავრი პეტრე! მამი ჩემის ცხოვბამ ხვალვე თოხლას ჩაუყონ ჩემ ხთიშობელს (ხატს), დაუკლავ და დაგარისხებო». პეტრემ დაიწყო ხმა-მაღლა სიცილი. პეტრე ჯერ კიდევ გატაცებით იცინოდა და აქეთ-იქით ეზაყებოდა, რომ იმასთან მოვიდა ერთი ქალი და გადასწია მწყემს უკან ახალუხის საყელოთი.

— ბიჭო, დაგარისხებავ, უთხრა ბატარქალმა, გამეერე, ქალებს ლხინი უნდა; ან თქვენ რას აკეთებთ და არ გამაილით, რა გეთაღრივერდავებათ და გეშარმაზანებათ ამაში,—უთხრა ქალმა იქ მსხდომებს დანარჩენს ახალგაზდა ფშაველებს. პეტრეს უამა რომ ბატარქალმა ხელი წაავლო, მაგრამ სიამოვნება არ დაიმჩნია.

— მოიდა, მამეცლე, გოგო, შე არ გასაზდელო, მე რაღა მელხინება, დაიკარგე აქითა!

— ადე, ჩემო ძმაო, ადე ჰოო ვაჟო, რასა უკმიახოპ?

— კარგია ჰო დაგვაცალეთ ბატარახან. უპასუხა პეტრემ.

— სვიმონას ბალღას შენთან ურკვავა ცხვარი?—ჰკითხა პეტრეს კარახელმა.

— ჩემთანა, მოგონებაზე ღმერთმა შაიწყალოს სვიმონა,—სთქვა პეტრემ.

— ღმერთმა მაიხსენოს,—სთქვეს სხვებმა.

— ჰაი ბევრის კარგის ყმის მკლავებს არ შაშჭამა მიწავ, ტიალო! განაგრძო პეტრემ,—მე და ის ერთად მოვიზარდენით. აბა, ბა, ბა, რაც ის კარგი იყო ცხონებული: საამხანაგოდ გინდა,—მტერთან, მოკეთესთან—ყველაად, ღმერთის მადლმა,—მობრალული ხო იმაზე მეტი აღარ შაიძლება. ერთხელის ახმეტის ზემოდ ხევგძელას რო გამოხდება კაცი, იმაში ერთი მთხოვარა შაგვეყარა ჩამოწეწალ-ჩამოგლეჯილი, საცოდავი გამიკითხეთო. დაიკარგეო, ვუთხარ მე, თორო მოგდგები ამ ჯოხით და შენს ცოდვა-ბრალს ზეცას ვაყურებინებო, რა გიჭირს შე ოჯა-ქორო,—თვალთ არ გაკლია და ხელთა,—წადი, ჩემო ძმაო, გაისაჯე და იქონე სარჩო... სუო, მითხრა ბეჩავმა სვიმონამ, ღმერთს ნუ აწყენ, ბეჩავი ძმაო, ღმერთის გაჩენილიაო. ერთად ტოლომანანი ეცვნეს, გაიხადა ის იმას მისცა და დარჩა თეითონ ჩოხა-ახალუხის ანაბარას. იმ ღამეს მაღალოახადზე დავრჩით, დაგვეცა ერთი საშინელი ცუდი დრო, დელგმა; ჰქონდენ ძველან ნაბადანი ისე რატო არ გაიწუწა ცხონებული, რომ შენი მოწონებული, მე კიდეც დავცინე: „სხვისა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელი“, ბევრი იცინა თვითონაც ღმერთმა მაიხსენოს სვიმონა;—სთქვა მეორედ პეტრემ, და გადაჰკრა ყანწი არაყი და დამღერა:

«მე უმღერალი ვერ გავსძლებ
სულო შამინდევ მკვდრისაო».
პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ
სიმღერეს არ იტყვიანო,
არ ვიცი, მკვდარსა გლოობენ
არ ვიცი, არ იციანო».

პეტრე ყელ-გადაგდებით იმღეროდა ისევ, რომ მოვიდა მეორე ქალი, დაადგა თავზედ პეტრეს და იმის ამხანაგებს. დედუნამ ამ სიტყვებით მიჰმართა ახალ-გაზდა ფშაველებს:

— აქამდი საით ვერ დასტყვრით და დასქდით, რა არი? სთქვა ქალმა, მოჰხადა პეტრეს ქუდი, ერთი მარილიანი სილაც გაარტყა და გაიქცა ქალებისკენ სიცილით. «არც ახლა წამოხვალ», ამბობდა დედუნა გზა-გზა. მეტი ღონე არ იყო უნდა პეტრე თავის სწორებით „გადასულიყო“ სათამაშოდ.—დაუკარით, გაგიწყრესთ ღმერთი, დაუკარით, დაიძახა პეტრემ,—ფიცხი, ფიცხი, ტოში გაახურეთ, ტოში! მწყემსმა შემოუარა ერთხელ, შეხტა; დადგა ერთს ალაგას და შესძახა: „ჩობანია, ქალებო, ჩობანი!“

— აი გენაცვალოს დაი რო მარდადა ჰხმარობ მუხლებსა,—ეხლა კი მოგცემ ქუდსა, უთხრა დედუნამ პეტრეს.

ყოველი ფშაველი დღეს სიცოცხლით აღსავსეა. ფშაველებს უხარიანთ რომ ერთმანერთის ნახვას კიდევ მოესწრნენ. აქა-იქიდამ ისმის სიმღერა, სიმღერასთან ერთად დარბაისლური ლაპარაკი მოხუცებულებისა ძველს, ახალს და მომავალს დროზე. ფშაველი ლაპარაკის და მსჯელობის ნიჭს სასმელში იჩენს... ბუნებაც მძიმედ გრძნობით დატვირთული იყო... ოთხივე მხრიდამ, მაღლიდამ ჩამომდინარი ხევები ჩხრიალით მოათამაშებენ პატარას, მაგრამ ეშხიანს და მამაცს ტალღებს. მთის წვერებზედ დალაგებულიყვენ ნისლები, და ზღვის ნაპირზე დაძინებულს ვეშაპს მოაგონებდენ კაცს. ნისლს ვერ შაეპყრო მხოლოდ საშავარდნის კლდე, რომელიც ცის ტატანზე მკერდ ჩავარდნილი და თავ-წამოხრილი იდგა გახარებული. შავი, დალმეჭილი, მრისხანე პირი-სახე ეხლა გაჰხარებოდა; იმას ღიმილივით ეტყობოდა ღრუბლებიდამ გამოპარული მთვარის მკრთალი სხივების თამაში პირზედ. სიხარულისაგან ჩამონადენის ცრემლების წკაპ-წკაპი ისმის უფსკრულში გალიპულს სიპზე. წვერგამხმარ იფნებსაც უხარიანთ, რომ ხალხი მხიარულობს, მაგრამ ეს მხიარულება არ უხდებათ იმათ. პირ-და-პირ მაღალ-წიფლოვანს ჩრდილს დაუხრია თავი და ღრმა ფიქრებს მისცემია: წარსულს იგონებს და მომავალზედ ჰფიქრობს. მდ. აფხუშურა მოდის ესხტად, ლამაზად, წმინდა-წყლიანი; მის პატარა მორევში გამოსულა კალმახი, მოჰმარჯვებია ნაპირს და გაყუჩებულა. შველი საწოლ-ზეით ამდგარა და თვალ-გაფეთებული ყურს უგდებს ამ გაურკვეველს ხალხის ზრიალს. მხოლოდ შავის, მშრომელის ხელებით ჩამოქნილი სანთლები აფხუშოელების ნასახლარების ყორეებზე მიკრულები თავებს აწყვეტენ აქეთ-იქით თითქო ამ ნანგრევებს ნანას ეუბნებიანო.

ვაჟა-ფშაველა

რილი გაზეთ „Русскій Курьеръ“-ში.

„ჩვენ თითქო ფული გვაქვს, ამბობს გაზეთი, და ძალიან ბევრიცა გვაქვს, თუ მივიღებთ მხედველობაში ხელის-მოწერას ხუთ პროცენტიან რენტაზე. ჩვენს მრეწველობას კი, ამავე დროს, უფულობით წინ ფეხი ველარ გადუდგამს. მრეწველობას შეუძლიან ორჯელ და სამჯერ მეტი სარგებელი მისცეს, მაგრამ ფული კი არსად არის. ჩვენ ძალიან ბლომად გვაქვს პური; ვოლგის მხრიდამ ამის შესახებ სანუგეშო ამბები მოგვდის, მაგრამ პურს გასავალი არა აქვს; არავინ იძლევა იმ ფასს, რაც ადგილზე ღირს. ამავე დროს, როცა ასეა საქმე, ოფიციალურად გამოცხადებულია, ბევრს ალაგას რუსეთში ხალხს პური აკლიაო. ჩვენ გვაქვს საქონელი, მაგრამ ამბრებსა და სარდაფებში აწყვია, რადგანაც გასავალი არა აქვს; ჩვენ ვშრომობთ და ვირჯებით, მაგრამ არც შრომისა და არც გარჯის რიგიანად გამოყენება და მოხმარება არ ვიცით; მუშა ხელი გასაოცრად იაფია, მაგალითად სამხრეთს რუსეთში, გაზაფხულის დღეში მუშას 15—20 კაპეიკზე მეტი არ ეძლეოდა. ეს ფული ძლივ-ძლივობით, ვაინაჩრობით ჰყოფნის დღის საზრდოდ. საითკენაც გინდა მიიხედო; რომელს ეკონომიურს სფერასაც არ შეეხო, ყველგან თვალში გეჩხირება, რომ საქმე შეჩერებულია. თუმცა ფინანსთა მინისტრი გვანუგეშებს, რომ ყველა სახელმწიფოებშია ამ ჟამად შეჩერებული ეკონომიური საქმეო, მაგრამ ჩვენთვის ეს რა ნუგეშია, ან ჩვენ ამითი რა შეღავათი გვეძლევა? ჩვენ დიდიდამ პატარამდე უნდა მივყოთ მუშაობას ხელი, რომ გამოვიდეთ აწინდელის გაჭირვებულის ყოფიდამაო, ამბობს ბოლოს გაზეთი.

⁂

ბ-ნ ნობელს, ამ ნავთის დიდს ბატონსა და მეფესა, ჰსურდა მთლად ნავთის წარმოება ხელში ეგდო, მაგრამ ანგარიში წაუხდა. დღეიდამ ნობელს გამოუჩნდა ძალიან მძლავრი მოცილე—როტშილდი. გაზაფხულზევე გამოვიდა ხმა, ამბობს „Новое Время“, რომ ძმათა ნობელების ამხანაგობა გაჭირებაში ჩავარდა უფულობის გამოვო. მაშინ ნობელმა ეს ხმები გააქარწყლა, მაგრამ ეხლა საქმე სხვა ნაირად დატრიალდაო.

> ვგონებო, — განაგრძობს ხსენებული გაზეთი,—ურიებს დარჩებათ ნავთის საქმეო, რა-კი ამისთანა კაპიტალისტი ჩაერია, როგორიც როტშილდია. ეს მოხდება ნობელის წყალობითაო. ჩვენი კაპიტალისტები მთავრობას შესცაცქანებენ ხელებში შემწეობისათვისაო; თავისთავად საქმის დაწყება და გაძღოლა არ შეუძლიანთო.

თუ ესეა, რად-და უკვირს გაზეთსა, რომ როტშილდმა ბევრს გამორჩომის სადერდელი გაუცუდა. ეხლანდელს დროში ბურთი და მოედანი იმისია, ვინც თვითონვე იცის საქმის დაწყებაც და გაძღოლაც.

⁂

რუსეთის გამოჩენილს მწერალსა გრაფს ლ. ნ. ტოლსტოის დაუწერია სახალხო კომედია სახელად „Первый винокуръ“. გაზეთი „Биржевыя вѣдомости“ აი რას ამბობს ამ სახალხო კომედიის შინაარსზე:

> გრაფს ტოლსტოის სურს ცხადად დაანახოს ხალხს ეშმაკი. დავარწმუნებთ ჩვენს დიდს მწერალს და მეტად მდარე ფილოსოფოსს, რომ ამ გვარი გამოხატვა აზრისა მხოლოდ სიცილს მოჰგვრის მოზრდილს ხალხს და ბავშვებს კი ღამე ძილს დაუფრთხობს, ღმთის მოსპობა მართო იმ საშუალებით, რომ იგი ხელოვნურად აღწერო, საქმეს ვერ უშველისო.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალეთი თოფ-იარაღს ისხამს და იჭურვებაო და მიზეზიცა აქვს შეიჭურვოს და შეთოფ-იარაღდეს. ეხლა, როგორც დღევანდელი დეპეშიდამა სჩანს, ისეთი თავ-სატეხი დრო უდგება ოსმალეთსა, იმის გვერდით ისეთი დიდი ფაფა ისარშება, რომ სწორედ ბევრსაც დიდი მოუნდება. ხონთქარს თავისი ქისეცკა არ დაუზოგავს, რომ თავისი ჯარი გაამხნეოს და ხალისი მოუმატოს. ამას წინად ხონთქარმა თავის ხარჯით დააარსა სამხედრო სამკურნალო ანუ ქსენონი იმ ჯარის-კაცთათვის, რომელნიც დაჭრილი და დაკოდილი იქმნენ თესალიის უწესოების დროსაო. სამკურნალოში დღეს 320 კაცი ავად-მყოფი იმყოფებაო. ხონთქარმა ყველა ეს ავად-მყოფები ინახულა, ყველასთან მივიდა სათითაოდ და ელაპარაკა მოწყალედ. თავის ხელითურიგებდა ავად-მყოფებს მენდლებსაო. როცა ერთს ჯარის კაცს მიაწოდა თურმე ხონთქარმა მენდალი, ჯარის კაცმა ხელზე აკოცა თავის ფადიშაჰსა. ხონთქარი ისეთს ღმობიერებაში მოვიდა ამის გამო, რომ გადაუხვია ავად-მყოფს ჯარის კაცსა და კამბორაო. ხონთქარმა სამი საათი დაჰყო საავადმყოფოშიო. ესე ყოველივე სამაგალითო და იშვიათი ამბავია და ოსმალეთის ცხოვრების მატიანეში ხშირად არ შეხვდება კაცსაო.

ბოლგარია. უცხო ქვეყნების სახელმწიფოებს ჩვეულებათა აქვთ, დრო-გამოშვებით გამოაცხადონ მთავრობის მიწერ-მოწერა უცხო სახელმწიფოებთან. ეს მიწერ-მოწერა ცალკე წიგნებში იბეჭდება, ამ წიგნებს სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიან,— მაგალითებრ „ყვითელი“, „მწვანე“ და სხვანი.

აი ერთი ამ გვარი „მწვანე“ წიგნი წარუდგენიათ ამ დღეებში ბოლგარიის საერო კრებისთვის. გაზეთ „Viener Allg. Zeit.“-ის სიტყვით, ეს წიგნი სამ ნაწილად არის გაყოფილი. პირველში დაბეჭდილია მიწერ-მოწერა ბოლგარიის და რუმელიის შეერთების თაობაზე, მეორე ნაწილი ბოლგარიისა და სერბიის შორის ომის საქმეს შეეხება, მესამე ნაწილში რკინის გზებზეა ლაპარაკი. ამ წიგნში ყურადღების ღირსი ყველაზე უფრო პირველი ნაწილია. აქ მოყვანილია სხვათა შორის რუმელიის შინაგან საქმეთა დირექტორის, ნატჩევის დეპეშა, რომელიც 16 სექტემბერს ბოლგარიის უცხო საქმეთა მინისტრთან ყოფილა გაგზავნილი. აი ეს დეპეშა: „ბოლგარიის აგიტერი პანიცა უკანონო საქმეებს სჩადის რუმელიაში, ამიტომ ჩვენი მთავრობა იძულებულია ეს აგიტერი რუმელიიდამ განდევნოს. უსიამოვნობა რომ არა მოხდეს-რა მეზობელთ შუა, გთხოვ ბოლგარიის მთავრობას თვითონვე წაიყვანოს აქედამ აგიტერი პანიცა. პასუხს გელი“. ბოლგარიის მთავრობამ ამ დეპეშაზე არავითარი პასუხი არ მისცა. რა «უკანონო საქმეებს» სჩადიოდა პანიცა რუმელიაში, ყველამ შეიტყო, როდესაც რუმელიის არეულობა მოხდა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე უცხო საქმეთა მინისტრის ცანოვის დეპეშა მთავართან, რომელიც ამ ხანებში ქალაქ ვარნაში ყოფილა: „ჩემთან იყო დიპლომატიის ერთი აგენტი და მკითხა: ფილიპოპოლის არეულობა ერთმა დასახელებულმა სახელმწიფომ ხომ არ მოახდინა იმ განზრახვითაო, რომ, თუ ამ საქმეზე უარს იტყოდით, ბოლგარებს დაიმდურებდით, და თუ დასთანხმდებოდით, ბერლინის ხელთ-შეკრულობის დამარღვეველად ჩაითვლებოდითო.“ იმავე დროს მთავარს მინისტრებისთვის სოფიაში და კარაველოვისთვის ტირნოვში შემდეგი დეპეშა მიუწერია: „მგონია, რომ შეერთების წინააღმდეგობა შეუძლებელია. გთხოვთ, დაუყონებლივ ბრძანება გასცეთ, რომ ჯარი თოფ-იარაღ ქვეშ იყოს დაყენებული. მე თვითონ დაუყონებლივ ფილიპოპოლში წავალ და რუმელიის საქმეების პართვას მე თვითონ ვიკისრებო. ამასთან გეცდებით, რომ ყველა სახელმწიფოები ჩემკენ მოვიმხრო. თუ ოსმალები შეერთების წინააღმდეგნი იქნებიან, საშინელი სისხლის ღვრა მოხდება.“ ვარნიდამ წასვლის წინად მთავარს მიუწერია მინისტრისათვის: „რუსეთს შევატყობინე რუმელიის ამბავი და შემწეობა ვთხოვე.“ ამ დეპეშაზე რუსეთიდამ არავითარი პასუხი არა ყოფილა.

ამის შემდეგ «მწვანე წიგნში» აწერილია დაწვრილებით ფილიპოპოლის არეულობის საქმე. აქ იმისთანა ახალი ამბავი არა არის-რა; ყველაფერი ჩვენმა მკითხველება უკვე იციან.

ინგლისი. გაზეთ „Indépend Belge“ სწერენ ლონდონიდამ: „ლონდონის ამომრჩევლების ყრილობაზე პირველის მინისტრის მეუღლემ, გლადსტონისამ ქმრის მაგიერ წარმოსთქვა სიტყვა და ემუდარებოდა ხალხს, რომ ირლანდიის საქმეს ისე შეჰხედონ, როგორც სინდისი და პატიოსნება მოითხოვსო.

— ამავე ყრილობაზე წაუკითხავთ „ირლანდიის საერო შეთქმულობის“ (лига) სეკრეტრის წერილი. სეკრეტარი სრულიად უარსა ჰყოფს ჯონ ბრაიტისაგან წარმოდგენილს პროექტს ირლანდიის თვითმმართველობისას, როგორც სრულიად გამოუსადეგარ და შეუფერებელ პროექტსა.

—გუშინ დუბლინის უნივერსიტეტს თავის წარმომადგენლათ პარლამენტში პროფესორები—ჯონსტონი და განსელი სურგებია ამოურჩია. როდესაც პროფესორებმა ამომრჩევლებს თავიანთ პროგრამმა რომ წარუდგინეს გამოჰგლიჯეს და ლუკმა-ლუკმა დაფხრიწეს თურმე.

— ლონდონის ახლოს გლადსტონის მომხრეთა დიდი ყრილობა გამართეს. ამ ყრილობაზე მიჩელისა და როსელის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პარნელმა. პარნელს სხვათა შორის უთქვამს: „სრული იმედი მაქვს, რომ ინგლისი ეხლავე მიანიჭებს ირლანდიას თვით-მმართველობას. მე დარწმუნებული ვარო, უთქვამს ბოლოს პარნელს, ინგლისის ხალხი არ იზამს, რომ ირლანდიის ხალხი მემამულე ლორდებს ფეხ ქვეშ გაათელინოსო.“

გერმანია. პარიჟში 1889 წლისთვის მსოფლიო გამოფენაა დანიშნული. ბისმარკი, როგორც საფრანგეთის დაუცხრომელი მტერი და შურის მაძიებელი, ცდილობდა აქაც ხელი შაეშალა. ბისმარკმა განიზრახა 1888 წელსა, მაშასადამე ერთის წლით ადრე, ამ გვარივე გამოფენა ბერლინში გაემართა და ამის გულისთვის სამი მილიონი მოსთხოვა გერმანიის სახელმწიფოების შეერთებულ რჩევასა. დღეს, როგორც „Journal des Débats“ გვარწმუნებს, შეერთებულ რჩევას უარი განუცხადებია და ეს ფული არ მიუცია. უარის მიზეზად ის დაუსახელებია, რომ მრეწველობა და საზოგადოდ იმპერიის ფინანსები ძალიან ცუდ ყოფაში არიან გერმანიაშიო.

ანგარიში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა

(შემდეგი*)

IV

შემწეობა სხვა უწყების საერო სკოლებისათვის.

საზოგადოების მოვალეობა, სხვათა შორის, ის არის, რომ ესმარებოდეს, ხელს უწყობდეს დაარსებულ სკოლებს, რომელთაც, სიღარიბის გამო, არა აქვსთ საშუალება შეიძინონ ყველა საჭირო წიგნი და სასწავლო ნივთი ღარიბ მოწაფეთათვის მუქთად დასარიგებლად. გამგეობას უოველთვის თვალ-წინ ჰქონია ამ გვარი მოვალეობა და თვისის შეძლებისამებრ აღმოუჩენია შემწეობა იმ სკოლათა და პირთათვის, რომელთაც ამ განზრახვით მიუმართავთ გამგეობისათვის. მართალია ესრეთი დახმარება არა ყოფილა იმ გვარი, რომელსაც დაეკმაყოფილებინოს გამგეობის განზრახვა ამ საქმეში, მაგრამ ეს უმეტესად შეუძლებლობის და ხელ-მოკლეობის მიზეზი იყო: შემწეობა არის დამოკიდებული შეძლებაზედ და გამგეობაც ამ შემთხვევაში უოველთვის ამ ჰაზრით ხელმძღვანელობდა და აძლევდა შემწეობას მთხოვნელებს. საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ გაუგზავნა წიგნები და სასწავლო ნივთები შემდეგ სკოლებს: ა) ნაკურალეშის სკოლას ლეჩხუმის მაზრაში, ბ) რუისის სკოლას გორის მაზრაში, გ) ახუთის სკოლას ზუგდიდის მაზრაში, და დ) ბათუმის საოლქოში ს. ქედს მცხოვრებს აბდული ეფენდი მიქელაძეს. ამას გარდა გამგეობა უგზავნიდა თვისს საკუთარს სკოლას საზოგადოებისას ყველა საჭირო წიგნებს და სასწავლო ნივთებს. ეს წიგნები და ნივთები ამ საზოგადოების გამოცემა იყო, ან მისის ფულით შესყიდული, ამ გვარს წიგნებსა და ნივთებზედ გამგეობას აქვს დახარჯული 32 მან. 16 კაპ. გარდა იმ წიგნებისა და სასწავლო ნივთებისა, რომელიც გაუგზავნა საზოგადოების უწყების სკოლებს (239 მ. 93 კ.)

V.

წიგნების ბეჭდვა და ვაჭრობა.

გამგეობა საზოგადოებისა საანგარიშო წლის განმავლობაში ჯეროვანს ყურადღებას აქცევდა წიგნების ბეჭდვის საქმესაც. მისი ზრუნვა ამ საგნის შესახებ იმით ისახებოდა, რომ მიღებული ხელთ-ნაწერები უნდა გაესინჯა და დაეფასებინა. მოწონების შემდეგ ხელთ-ნაწერი უნდა დაბეჭდილიყო, თუ საზოგადოების საშუალება ექმნებოდა. ყოველს შემთხვევაში გამგეობა თვის აზრს აცნობებდა ხელთ-ნაწერების ავტორთ. ამ-გვარად საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ განიხილა: ა) ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა და ქართული წერა-კითხვის მასწავლებელი, შედგენილი ვანის სკოლის მასწავლებლის ფილარეტ ბაქრაძისაგან, ბ) შესანიშნავი ბავშვები, ისტორიული ანბები ევგენი ფოასი, თარგმნილი რუსულით სოფრომ მგალობლიშვილისაგან, გ) საქართველოს ისტორია, მ. ბროსსესი, დ) ჯარი და მისი თვისება, თარგმანი რუსულით ალ. მირიანაშვილისა, ე) რობინზონ კრუზე, დეფოესი. აღნიშნულ თხზულებათა განხილვის შემდეგ, გამგეობამ ზოგი მათგანი ავტორთ დაუბრუნა შესასწორებლად, ზოგის ბეჭდვა გადასდო საშუალების უქონლობას გამო, ზოგის ბეჭდვა ვერა სცნო სასარგებლოდ. გამგეობამ დაბეჭდა მხოლოდ „რობინზონ კრუზე“, თხზულება დეფოესი, თარგმნილი თ. მიხეილ თუმანიშვილის ქალის ანასტასიასი, რომელმაც თვისი თარგმანი შემოსწირა საზოგადოებას, როგორც საკუთრება. ამას გარდა წარმოდგენილია განსახილველად“ საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო პირველ-დაწყებით სკოლებისთვის“, შედგენილი გ. ნ. იოსელიანისაგან

წიგნებით ვაჭრობის საქმეს დიდს დაბრკოლებას აძლევს ის გარემოება, რომ საზოგადოებას ქ. ტფილისში არა აქვს საკუთარი და მუდმივი წიგნთ-საწყობი მარჯვე ადგილს, რომ თვის წიგნების აღებ-მიცემობა თვითვე — ეწარმოებინა. ვიდრე ამ მდგომარეობაში იქმნება ეს საქმე, წიგნების ბეჭდვა სანატრელს სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს საზოგადოებას. ამ საგანს უნდა მიაქციოს საზოგადოებამ უპირატესი თვისი ყურადღება. დიდს შემწეობას მისცემენ ამ საქმეში გამგეობას თვით დამხმარებელნი წევრნიც, თუ ესენი, სხვათა შორის, იკისრებენ საზოგადოების წიგნების გავრცელებას ხალხში.

დეპეშა

1 ივლისს

პეტერბურგი. „Новое Время“-ში გადმოცემულია დერპტიდამ დეპეშა და მოყვანილია სიტყვა თქმული დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის მიერ წინაშე უნივერსიტეტის წარმომადგენელთა, თავად-აზნაურთა და მოქალაქეთა: „თუმცა უმაღლესის ბძანებით მე მხოლოდ ხამხედრო აზრით ვსინჯავ ბალტიის ზღვის ნაპირებსა, მაგრამ ამან არ დამიმალა შემენიშნა, რომ აქაურ ინტელიგენციას ჰქონია ვითომ მტკიცენი და ხამუდამონი არ იყვნენ ზომები მიღებულნი ოსტზეის გუბერნიების ჩვენს საერთო და მპირფასს სამშობლოსთან გაერთებისათვის. მაქვს ნება გამოგიცხადოთ, რომ ყოველი ამ გვარი ზომა ჩვენის თვით-მპყრობელის ხელმწიფის შეურყევლის ნებით, აღსრულებაში მოყვანილი იქნება მტკიცედ, უკან დაუხევლად იმ აზრით, რომ უფრო მძლიერ დაახლოვებულ იყვნენ რუსთა ოჯახთან. მე კარგად ვიცი რომ ამაში მისი იმპერატორებით უდიდებულესობა ხედავს ხაფუძველს აქაურ ქვეყნის წარმატებისას და მასთანაც გულში აქვს თქვენდამი უცვალებელი ნდობა, მამის ანდერძით განმტკიცებული. მისი უდიდებულესობა მოელის თქვენგან უხათუო გულითადს შემწეობას, რომ მთავრობის აქაურთა მუშაკთა ხელი მოუმართოთ დახადგენად აქ რუსეთის ხაქმისა. ამას მოელის ხელმწიფე იმპერატორი თქვენგან, რომელთაც მრავალ-გვარი და ყველგან ფეხ-გადგმული გავლენა გაქვთ აქაურს მხარეზედა. მოგაგონებთ ღვთივ-განსვენებულ და დაუვიწყარ ჩემის მშობლის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სიტყვას, რო-

---

*) იხი. „ივერია“ 124, 125, 126, 127, 128, და 135.

მელიც მან ბრძანა 14 ივნისს 1867 წ. რიგაში წინაშე მათთა, ვინც წარსდგნენ: ნუ დაივიწყებთო, რომ თქვენ ეკუთვნით ერთიანს რუსთა ოჯახსაო, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენთო, თქვენ თანამდებნი ხართ ხელი შეუწყოთ განზრახულის ზომების განხორციელებასაო. ხელმწიფე იმპერატორმა, იცის რა თქვენი ერთგულობა და თქვენი გრძნობა მოვალეობისა, აღგზნილია თქვენდამი იმავე სურვილითა და, გიმეორებ, იმავე განუსაზღვრელ ნდობითა თქვენდამი. ამ გვარი სურვილი მის უდიდებულესობისა, ღვთის შეწევნით, უეჭველად საქმით აღსრულებულ იქმნება. ღმერთმა ჰქმნას მალე და მტკიცედ შეუერთდეთ დიდს ოჯახს რუსეთისას! დასასრულ, გსარგებლობ რა მით, რომ აქ შეკრებილნი ხართ, დიდის მთავრინას მაგიერ და ჩემ თავადაც გიცხადებთ ჩვენს გულითადს მადლობას გულ-ახდილ მასპინძლობისათვის როგორც აქ, ისე სხვა ქალაქებში, რომელნიც კი მდებარეობენ ბალტიის ზღვის ნაპირებზედ. აგრეთვე მადლობა გარდაეცით მათ, ვინც აქ არ არიან“.

2 ივლისი.

კიევი. აქაურს სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა ექვსი შტუნდისტის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს მღვდელს, როცა იგი მიცვალებულს ასაფლავებდა; ამას გარდა მათ ბრალდებოდათ ღვთის გმობა. სამს მათგანს გადაუწყვიტეს 12—15 წლამდე კატორღა, დანარჩენებს ექვს-ექვსი თვე საპყრობილეში ყოფნა.

ხარკოვი. პურის მკა დაუყოვნებლივ მიდის; კარგი დარები ხელს უწყობენ მუშაობას; პურს სხვილი და სავსე მარცვალი აქვს.

სარატოვი. ანეულების მკა დაიწყო; ახალ თესლი გვარიანად შემოვიდა; მუშა ხელი იაფად არის.

პარიჟი მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა განიდევნოს საფრანგეთიდამ ჰერცოგი ომალისა.

ბელგრადი. ექვსი ოპოზიციის დეპუტატი დაუტუსაღებიათ იმის გამო, ვითომც არჩევანებზე ავად ემოქმედნოთ. ოპოზიცია ჯავრობს და მართებლობას სდებს ბრალსა, რომ საარჩევნო კანონები დაარღვიაო, რადგანაც ამორჩევების საქმეში მარტო სკუპჩინა არის გამკითხავი.

კონსტანტინოპოლი. ბოლგარიამ უარი განაცხადა დანიშნოს დელეგატები იმ კამისიაში, რომელმაც ორგანებული წესდება აღმოსავლეთის რუმელიისა უნდა გადასინჯოს; ხოლო სურვილი კი განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგატებს მოელაპარაკებით ზოგიერთა განსაკუთრებით საგნებზედ.

სალონიკისა და სერასის გარემო გაჩნდა აუარებელი ბრბო ბოლგართა, რომელნიც ოსმალოთის ჯარის-კაცთ სასისხლოდ შეუტაკნენ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

3 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. იაკინთესი. ფრანგ. ეპისკოპოსთა გელიოდორისა და ანატოლიასი, და კამელისა. სომეხ. წმ. მთარგმნელ სომეხთა: სააკისა და მესროპისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—41. ტფილისში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—34; მთვარე ამოდის7—2, ჩადის 3—48.

4 დღე პარასკევი. წმ. ანდრია ეპისკოპოსისა. ფრანგ. იოსებისა და ეპისკოპოსთა თეოდოროსი და ილიასი. სომეხ. ნახატონაქი. ერევნიდგან მოვიდა ციციანოვთან, რომელიც ციხეს გარს ადგა, შაჰისაგან გამოგზავნილი ელჩი და რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნის სურვილი გამოუცხადა. თავად ციციანოვმა მოსთხოვა დაუყოვნებლივ მაეცათ ყოველივე ნივთები, რომელიც-კი ეჩმიაძინიდამ წაეღოთ და ამას გარდა განეთავისუფლებინათ სომხთა პატრიარხები დანიელი და დავითი 1804 წ. შამილის შვილის, ყაზი-მაჰმადის წინა-მძღომელობით ლეკები დაეცნენ და გაცარცვეს კახეთის სოფლები: გრემი, ენისელი, ნაქალაქევი, შაქრიანი, ტოგნიანი, კონდოლი, ჭიასის-ხევი, წინონდალი, ნასომხარი, შალაური და სხვ. შეტაკებაში ბევრი დაჰხოცეს და დაატუსაღეს 1854 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—46. ტფილისში მზე ამოდის 4—38, ჩადის 7—34; მთვარე ამოდის 7—44, ჩადის 4—41.

5 დღე შაბათი. ღირს. ათანასისა ათონელ. ფრანგ. კირილესი და მეფოდიასი, და ფილომენისა. სომეხ. წმ. ტრდატ მეფისა, მისის ცოლის—დედოფლის აშხენისა და დის ხოსროვიდუხტისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—52 ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—33; მთვარე ამოდის 8—22, ჩადის 5—29.

6 დღე კვირა. ღირსისა სისო დიდისა, ქალწ.—მოწ. ლუკიასი და სხვ. ფრანგ. დომინიკისა, ოსიასი და ავგვასი. სომეხ. იოვანე სამოსლისა წმ. ღვთის-მშობლისა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—56. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32; მთვარე ამოდის 8—56, ჩადის 6—31.

7 დღე ორშაბათი. ღირს. თომასი და აკაკისა, ქალწ.—მოწ. კირიაკიასი. ფრანგთა აპოლონიასი, კლავდიასი და პულხერიასი. სომეხ. წმ. კალისტრატესი და 49 მოწამეთა და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 9—28, ჩადის 7—27.

გამოსადები ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	$2\frac{1}{2}$
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	$4\frac{1}{2}$ »
» » 2—	3 »
» » 3 »	$2\frac{1}{2}$ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	$4\frac{1}{2}$ »
მე-2 ხარისხისა	$3^{1}/$ »
მე-3 —	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
« » 2	7 »
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და ყირიმში შეივლის· შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად ვაცხადებ, რომ მომავალის წლისათვის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მხოლოდ პირველს განყოფილებაშია (40) ორმოცი ვაკანსია; მსურველთ ოც აგვისტოდამ დამლევამდის შეუძლიანთ თხოვნის შემოტანა ბანკის მოწმობითურთ.

წელს ჩვენი სასწავლებლის მეოთხე განყოფილებიდამ ქუთაისის სააზნაურო პროგიმნაზიის 1-ს კლასში მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ.

1) პავლე ქორჩაშვილი	შორაპნის მაზრიდამ.
2) ვარლამ ასათიანი	სენაკის მაზრიდამ
3) მელიტონ იოსელიანი	
4) იასონ იოსელიანი	
5) ნესტორ ჩიქოვანი	

ამათ გარდა ორის შეგირდის შესახებ (სილოვან გაბუნია და ისააკ ქავთარაძე) უნდა იშუამდგომლოს კომიტეტმა, თუ ვაკანსია აღმოჩნდეს, ხსენებულს შეგირდებს უპირატესობა მიეცესთ და უეგზამენოთ მიღებულ იქმნენ ქუთაისის სააზნ. პროგიმნაზიის პირველს კლასში

სასწავლებლის ინსპექტორი
სამსონ ყიფიანი.

(2—1)

ყრმათა სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის დამატებით მშობლებთა და აღმზრდელთათვის.

1884-ს და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ტფილისში—ქალაქში 3 მანათი, ქალაქ გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

მომავალს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის გვეჭირვება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც უნდა შეეძლოს ქართულ-რუსულად გალობის რიგიანად სწავლება; ექმნება გალობის რვა გაკვეთილი და თან აღმზრდელობის მოვალეობა. ორივე თანამდებობის ჯილდოდ 600 მანათი არის დაწესებული. მსურველთ თხოვნით მიჰმართონ ან ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის კომიტეტს, ან მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელს—სენაკში.

სასწავლებლის ინსპექტორი
სამსონ ყიფიანი

(3—1)

ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

◆

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ:

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—8)

Дозволено цензурою Тифлисъ 2 іюля. 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.